ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის N01-10/49 ბრძანების
დანართი N 1

(კოდიფიცირებულია ცვლილებებით:
N01-10/67; 02.06.2023; N01-10/118, 18.10.2023)

ბსუ-ს სტუდენტურ პროექტებზე გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობისა და სტუდენტური პროექტის საბიუჯეტო განაცხადის ფორმა

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების შესაბამისად წარმოდგენილ სტუდენტურ საპროექტო განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის საბიუჯეტო განაცხადი (შედგენილი წინამდებარე დანართზე თანდართული ფორმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ცხრილში სტრიქონის დამატება).
2. პროექტის ბიუჯეტი ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს პროექტის ამოცანებთან.
3. ბსუ-ს სტუდენტურ პროექტებზე გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობებია: ***(ცვლილება - N01-10/118; 18.10.2023)***

   ა) სტუდენტური სამეცნიერო პროექტის - 5 000 ლარი;

   ბ) სტუდენტთა საგანმანათლებლო ან კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის ბიუჯეტი - 15 000 ლარი;
4. პროექტის საბიუჯეტო განაცხადში აღიწერება პროექტის საერთო ბიუჯეტი, პროექტით გათვალისწინებული და განსახორციელებელი ღონისძიებების/აქტივობის და მათი განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების ჩამონათვალი (ხარჯის დეტალური გაანგარიშებით).
5. პროექტის საბიუჯეტო განაცხადის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

   ა) აღინიშნოს იმ ღონისძიებების/აქტივობების ჩამონათვალი, რომლებიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს (მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ხარჯის განხორციელებისაგან მისაღები შედეგი და მისი კრიტერიუმი);

   ბ) ბიუჯეტის პუნქტებში შესაბამისი აქტივობების/საცალო ღირებულება უნდა მიეთითოს ლარებში (დოლარში მითითების შემთხვევაში უნდა მიეთითოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარებში);

   გ) პროექტის ავტორის შრომის ანაზღაურება შეიძლება განისაზღვროს მთლიანი ბიუჯეტის არაუმეტეს 20%-ით, რომელიც უნდა გაიცეს პროექტის დასრულების შემდგომ, პროექტის შესრულების ანგარიშის (ფინანსური და პროგრამული) დადებითად შეფასებისა და სტუდენტური პროექტების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულის სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენის შემდეგ; ***(ცვლილება - N01-10/67; 02.06.2023)***

დ) პროექტის ფარგლებში საჭირო აღჭურვილობას (მათ შორის: კომპიუტერის (ლეპტოპი), პროექტი ან/და სხვა სახის ტექნიკას) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თავის ბალანსზე არსებული საშუალებებით, პროექტით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელებისათვის დროებითი სარგებლობის პირობით, ხოლო თუკი პროექტის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობა/ტექნიკა უნივერსიტეტს არ აქვს საკუთრებაში/სარგებლობაში ან/და შეუძლებელია პროექტისათვის მისი გამოყენება, საბიუჯეტო განაცხადში უნდა მიეთითოს ნივთის საფირმო დასახელება, მოდელის ნომერი ან/და სხვა ინფორმაცია (ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით), კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ღონისძიებების განხორციელებისათვის;

ე) პროექტში ტრენერის, ექსპერტის და/ან სხვა პირის მოწვევის საჭიროების შემთხვევაში საბიუჯეტო განაცხადში უნდა მიეთითოს გასაცემი შრომის ანაზღაურება და აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქნეს მოსაწვევი პირის პროექტში მონაწილეობის თანხმობის წერილი, CV და პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) პროექტით გათვალისწინებული აქტივობის შესრულების გადავადების ან გაუქმების/შეწყვეტის ან/და ბიუჯეტის ცვლილებასთან (მხოლოდ შემცირება) დაკავშირებით პროექტის ხელმძღვანელის დასაბუთებული ინიციატივის შემთხვევაში სტუდენტური პროექტების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელმა ბსუ-ს სტრუქტურულმა ერთეულმა დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათით გონივრულ ვადაში (5-10 სამუშაო დღის ვადაში) უნდა მიმართოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია შეფერხდეს (შეჩერდეს) ან შეწყდეს პროექტის განხორციელება); *(ცვლილება - N01-10/67; 02.06.2023)*

ზ) პროექტის საბიუჯეტო განაცხადი არ უნდა შეიცავდეს ისეთ პუნქტებს/ჩანაწერებს, რომლებიც არ არის აუცილებელი, არ არის არსებითი ან შეუსაბამოა პროექტისათვის.

6. პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში, პროექტზე პასუხისმგებელმა პირმა ან/და წარმომადგენელმა უნივერსიტეტის მიერ გადაცემული შესაბამისი მატერიალური რესურსი (კომპიუტერული ტექნიკა ან/და სხვა) უნდა დაუბრუნოს უნივერსიტეტს და უფლებამოსილ პირთან გააფორმოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის N01-10/49 ბრძანების
დანართი N 2

სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ- შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

	პროექტის დასახელება												
	პროექტის მოკლე აღწერა -												
N	განხორციელებული აქტივობის/ ღონისძიების/ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად						
1												
2												
3												
4												
5												
6												